



№ 1გ/622-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ

04 მაისი 2017 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე ე. ნ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუას 2017 წლის 26 აპრილის განჩინებაზე, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჯავარაშვილის საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მარნეულის რაიონული პროკურატურიდან თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში 2017 წლის 12 აპრილს განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის N039040217001 საქმე ბრალდებულ ე. ნ.-ს მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმის მასალების მიხედვით 2017 წლის 04 თებერვალს, შუადღის საათებში, ე. ნ.-ს რაიონის სოფელ ი.-ში, ვალთან დაკავშირებული კონფლიქტის დროს, ე. ნ.-მ ფეხის და ჯოხის დარტყმით დააზიანა ნ. მ.-ს კუთვნილი ავტომანქანა „HYUNDAI GETZ“-ის (სახელმწიფო ნომრით XX XXX XX) წინა მარჯვენა ფრთა და ძრავის ხუფი, რითიც ნ. მ.-ს მიაყენა 270 (ორას სამოცდაათი) ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2017 წლის 04 თებერვალს. 2017 წლის 28 თებერვალს გამოტანილი იქნა დადგენილება ე. ნ.-ს ბრალდების შესახებ და იმავე დღეს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო 2017 წლის 01 მარტს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით.

2017 წლის 13 მარტს გამოძიების ორგანოს მიმართა ბრალდებულმა ე. ნ.-მ და ითხოვა მის მიმართ განრიდების გამოყენება. 2017 წლის 24 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ე. ნ.-ს მიმართ განრიდების გამოყენების შესახებ, რაზეც იმავე დღეს შედგა განრიდების შეთავაზების ოქმი. ოქმის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ განრიდების სუბიექტი აღიარებს და ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, ასევე იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, პროკურორის მიერ მიღებული იქნა განრიდების პირობების



გამოყენების გადაწყვეტილება. განრიდების პირობების თანახმად, ე. ნ.-ს უნდა გადაეხადა 1000 (ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირობის შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 26 მარტი. მასვე განემარტა, რომ თუ იგი არ შეასრულებდა განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს მის მიმართ განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო განრიდება განხორციელებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა განრიდების სუბიექტი შეასრულებდა შეთავაზებულ პირობას. აღნიშნულ პირობებს დაეთანხმა ე. ნ. და ხსენებული ოქმი დადასტურებული იქნა პროკურორის, ბრალდებულის და მისი ადვოკატის ხელმოწერით.

სს „ს. ბ.“-ს 2017 წლის 24 მარტის სალაროს შემოსავლის ორდერით NXX/XXXXX დასტურდება, რომ ე. ნ.-მ შეასრულა განრიდების პირობა და 1000 (ათასი) ლარი გადაიხადა 2017 წლის 24 მარტს.

2017 წლის 28 მარტს კი პროკურორმა გამოიტანა დადგენილება განრიდების წარმოების პროცესის შეწყვეტის შესახებ და დაადგინა, რომ არ შეწყდეს ე. ნ.-ს მიმართ არსებული სისხლისსამართლებრივი დევნა იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ სახეზეა სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი და ამიტომ ე. ნ.-ს მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო განრიდება. პროკურორმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობს ბრალდებულის პიროვნებით, ის, რომ მას ჩადენილი აქვს განზრახი დანაშაული, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით და ხსენებული დადგენილების საფუძველზე პროკურორის მიერ 2017 წლის 28 მარტს შედგენილი იქნა ოქმი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც საქმე წარმართა სასამართლოში.

ხსენებულ დადგენილებაში და განრიდებაზე უარის თქმის შესახებ ოქმში მითითებულია, რომ პროკურორმა იხელმძღვანელა ბრალდებულ ე. ნ.-ს პიროვნებით, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და დანაშაულის ხასიათით, რის გამოც ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ განრიდება ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის რეაბილიტაციას და შესაბამისად, არსებობდა სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი. საქმეში ასევე წარმოდგენილია იგივე გამომძიებლის (რომელიც აწარმოებს გამოძიებას მიმდინარე საქმეზე) წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმის მასალები - გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი (გამოძიება დაწყებულია 2016 წლის 23 თებერვალს) წ.-ს რაიონის სოფელ ი.-ში მომხდარი ჩხუბის ფაქტზე, იგივე პროკურორის (რომელიც მონაწილეობს მიმდინარე პროცესში) დადგენილება კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ და აღნიშნულ საქმეზე ე. ნ.-ს მოქმის სახით გამოკითხვის ოქმი.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2017 წლის 20 და 26 აპრილს. 2017 წლის 26 აპრილის სხდომაზე მოსამართლე ვ. ხ.-ს მიერ განხილული იქნა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც პროკურორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები - 2017 წლის 28 მარტის დადგენილება განრიდების წარმოების პროცესის შეწყვეტის შესახებ, 2017 წლის 28 მარტის ოქმი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, სხვა სისხლის სამართლის საქმეზე 2016 წლის 23 თებერვლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, 2016 წლის 05 ოქტომბრის დადგენილება კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ და 2016 წლის 23 თებერვლის ე. ნ.-ს გამოკითხვის ოქმი - ცნო დაუშვებლად.

განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ნაწილობრივ შეზღუდულია (დანაშაულის კატეგორია და განრიდების პირობები). ასევე ცხადია, რომ აღნიშნული ნორმის სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც ბრალდებული, ასევე ის პირი, რომლის მიმართაც არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა. ნორმის განმარტებისთვის ზემოთ მითითებულ პირებს ეწოდებათ განრიდების სუბიექტი, ე.ი პირი ვის მიმართაც პროკურორი კანონით დადგენილი წესით



იყენებს განრიდებას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს. სასამართლომ მიიჩნია, რომ 168^{-ე} მუხლით განსაზღვრული განრიდების შეთავაზება მიიჩნევა, როგორც პროკურორის მხრიდან უკვე მიღებული გადაწყვეტილება იმისა, რომ პირზე გავრცელებული იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. მოცემული ნორმით ცალსახად დგინდება, რომ პროკურორის უფლებამოსილება პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების თაობაზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ პირი არ შეასრულებს განრიდების პირობებს ანუ თუ არ განხორციელდება განრიდება. მოცემული ნორმის შესაბამისად, პირის მიერ განრიდების პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისას პროკურორი განახლებებს უკვე შეწყვეტილ სისხლისსამართლებრივ დევნას. რაც იმას გულისხმობს, რომ პირობების შესრულების ვადებში პირის მიმართ უკვე შეწყვეტილი უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ნ.-მ სრულად შეასრულა განრიდების პირობა 2017 წლის 24 მარტს. შესაბამისად, სასამართლოსთვის გაუგებარია 2017 წლის 28 მარტს ე. ნ.-ს მიმართ განრიდების წარმოების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილების და 2017 წლის 28 მარტს შედგენილი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ ოქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს აზრით ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტები გამოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით. მხარეების მიერ 2017 წლის 24 მარტს შედგენილი განრიდების შეთავაზების ოქმის თანახმად, განრიდების პირობები შესრულდა და განრიდება განხორციელდა იმავე დღეს 2017 წლის 24 მარტს, რის შემდეგაც პროკურორი ვალდებული იყო შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ე. ნ.-ს მიმართ. სასამართლომ არ გაიზიარა პროკურორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ნ.-სთვის განრიდების პროცესის შეწყვეტა დაკავშირებული იყო 2016 წლის 23 თებერვალს დაწყებულ სისხლის სამართლის საქმესთან, ვინაიდან წარმოდგენილი მასალების თანახმად, განრიდების შეთავაზების პერიოდისთვის ე. ნ. მხოლოდ მოწმის სტატუსით იყო გამოკითხული ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეში. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პროკურორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილების მიღებით. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის მიზნებთან და ამოცანებთან. რაც შეეხება სხვა სისხლის სამართლის საქმეზე 2016 წლის 23 თებერვლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათს, 2016 წლის 05 ოქტომბრის დადგენილებას კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ და 2016 წლის 23 თებერვლის ე. ნ.-ს გამოკითხვის ოქმს, სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურორმა ვერ მიუთითა თუ რა საპროცესო მოქმედებით იქნა დართული (წარმოდგენილი, დამაგრებული) საქმეზე აღნიშნული დოკუმენტაცია. ამასთან სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებს არ აქვს რაიმე შემხებლობა წარმოდგენილ, ე. ნ.-ს ბრალდების საქმესთან.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუას 2017 წლის 26 აპრილის წინასასამართლო სხდომის ზემოაღნიშნული განჩინება, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში, 2017 წლის 30 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი ჯავარაშვილმა, რომელიც ითხოვს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ბრალდების მხარის მტკიცებულებების - განრიდების წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების, განრიდებაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 28 მარტის ოქმის, 2016 წლის 23 თებერვლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის, კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ 2016 წლის 05 ოქტომბრის დადგენილების და ე. ნ.-ს 2016 წლის 23 თებერვლის გამოკითხვის ოქმის, დასაშვებად ცნობას.

საჩივარში მითითებულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168^{-ე} მუხლის პირველი ნაწილის განმარტებით დასტურდება ის გარემოება, რომ პროკურორს შეუძლია (და არაა



ვალდებული) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ განსარიღებელი პირი შეასრულებს განრიღების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ განსარიღებელი პირის მიმართ გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანებით დამტკიცებული სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი მის მიმართ განრიღების გაფორმება ან თუ განსარიღებელი პირი განრიღების პირობების შესრულების დროს ან შემდეგ, მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტამდე ან დაწყებამდე ჩაიდენს დანაშაულს, რაც პროკურორის შეფასებით მიზანშეუწონელს გახდის მის მიმართ განრიღების გაფორმებას, პროკურორს შეუძლია არ მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არ დაწყების შესახებ ბრალდებულის მიერ განრიღების პირობების შესრულების შემთხვევაშიც კი. ასეთ შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება დაწყებული განრიღების შეწყვეტის შესახებ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად აისახება პროკურორის დასაბუთებულ დადგენილებაში. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა, რომ ვინაიდან ე. ნ.-მ შეასრულა განრიღების პირობა და მის მიმართ აუცილებლად უნდა შეწყვეტილიყო სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურორს მიაჩნია დაუსაბუთებლად. რაც შეეხება 2016 წლის 23 თებერვლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის, კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ 2016 წლის 05 ოქტომბრის დადგენილების და ე. ნ.-ს 2016 წლის 23 თებერვლის გამოკითხვის ოქმის დაუშვებლად ცნობას, აღნიშნულზე პროკურორი აღნიშნავს, რომ ე. ნ.-ს მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, გამოძიება დაწყებული აქვს და საქმის გამომძიებელი არის შს წალკის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი მ. ყ., ხოლო თუ ვნახავთ 2016 წლის 23 თებერვლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათს ცნობილი გახდება, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება აგრეთვე დაიწყო სწორედ იგივე გამომძიებელმა და ის იძიებს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესაც. შესაბამისად, მტკიცებულებები იყო ერთი და იგივე გამომძიებლის ხელში. აღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდების მხარე არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეზე მტკიცებულებები დართული არის კანონის დარღვევით. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ვერ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ის საგამომძიებო მოქმედება, თუ საპროცესო მოქმედება ნანახი, რომლის დახმარებითაც შს წალკის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი მ. ყ. ე. ნ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად მოიპოვებდა მტკიცებულებას მის მიერვე წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმიდან. ამასთან, მტკიცებულებების მოცემულ საქმესთან შემხებლობასთან დაკავშირებით, ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ ე. ნ.-ს მიმართ სწორედ მისი პიროვნებიდან გამომდინარე იქნა მიღებული გადაწყვეტილება განრიღების წარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებები ახასიათებს ე. ნ.-ს პიროვნებას როგორც არაკანონმორჩილ და კონფლიქტურ პიროვნებას.

პროკურორის საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული პროკურორის არგუმენტები და მოსაზრებები. შესაბამისად, საგამომძიებო კოლეგიის შეფასებით რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს და წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის ფარგლებში, საგამომძიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე



მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით კი მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლის მიხედვით პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს: ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლის სამართლებრივი დევნა.

ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168²-ე მუხლი განსაზღვრავს განრიდების გამოყენების წესს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირისათვის (განრიდების სუბიექტისათვის) განრიდების შეთავაზება ხორციელდება წერილობითი ფორმით. მასში მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება. ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ პირს (განრიდების სუბიექტს) წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება ნებაყოფლობითია და ის სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით. ხოლო, მე-6 ნაწილის განსაზღვრავს, რომ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს ამ კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით.

საქმის მასალების მიხედვით ე. ნ.-მ 2017 წლის 13 მარტს განცხადებით მიმართა წალკის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელს და მოითხოვა განრიდების გამოყენება მის მიმართ, იმ საფუძველით, რომ ის აღიარებს და ინანიებს ბრალად წარდგენილ ქმედებას, არის სტუდენტი და თანამშრომლობს გამოძიებასთან.



2017 წლის 24 მარტს მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჯავარაშვილის მიერ შედგენილი იქნა განრიდების შეთავაზების ოქმი, რომლის საფუძველადაც მითითებულია, რომ მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი ჯავარაშვილმა, მარნეულის პროკურორის მოადგილესთან ელიზბარ გოგრიჭიანთან შეთანხმებით, შეადგინა აღნიშნული ოქმი იმის გათვალისწინებით, რომ განრიდების სუბიექტი აღიარებს და ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, მან აანაზღაურა ზიანი, ამასთან, მან პირველად ჩაიდინა დანაშაული და შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ე. ნ.-ს მიმართ განრიდების გამოყენება. ოქმით განისაზღვრა განრიდების პირობაც, რომ ე. ნ.-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა 1000 (ათასი) ლარი ორი დღის ვადაში. განრიდების პირობის შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 26 მარტი. ოქმის თანახმად, ე. ნ.-ს ასევე განემარტა, რომ განრიდების გაფორმების შემთხვევაში, თუ იგი არ შეასრულებდა განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს მის მიმართ განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ანუ ოქმიდან გამომდინარე, რაც დადასტურებულია პროკურორის ხელმოწერით სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების პირობად განისაზღვრა ე. ნ.-ს მიერ პირობის შეუსრულებლობა, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და ამასთან, ხსენებული ჩანაწერი პირდაპირ განმარტავს, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში განახლდებოდა დევნა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირობის შესრულება გამოიწვევდა დევნის შეწყვეტას, ვინაიდან დევნის განახლება შეუძლებელი იქნებოდა თუ იგი არ შეწყდებოდა. ასევე, განრიდების შეთავაზების ოქმშივეა ასახული, რომ განრიდება განხორციელებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა განრიდების სუბიექტი შეასრულებს შეთავაზებულ პირობებს.

დადასტურებულია, რომ განრიდების პირობები ე. ნ.-მ შეასრულა განრიდების პირობების შესრულებისათვის დადგენილ ვადაში. ე. ი. ოქმიდან გამომდინარე, რაც დადასტურებულია პროკურორის ხელმოწერით, ვინაიდან განრიდების სუბიექტმა შეასრულა განრიდების პირობა, იმ მომენტიდან უკვე განრიდება ითვლება განხორციელებულად.

ყოველივე ზემოხსენებული თანხვედრაშია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე და 168²-ე მუხლების დანაწესებთან, რომელთა შესახებაც ვრცელი განმარტება გააკეთა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რასაც საგამოძიებო კოლეგია იზიარებს სრულად და დამატებით განმარტავს, რომ განრიდების სუბიექტის მიერ პირობის შესრულება, იმავდროულად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას და ეს პროცესი აღარ არის დამოკიდებული პროკურორის დისკრეციაზე. პროკურორის დისკრეცია განრიდების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება, რა დროსაც პროკურორმა უნდა შეამოწმოს სწორედ პიროვნების წარსული და ხასიათი და სხვა გარემოებები და მათი გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება თუ რამდენადაა მიზანშეწონილი განრიდების გამოყენება. ამ საკითხის გადაწყვეტაში სასამართლო არ ერევა. ხოლო, მას შემდეგ რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება განრიდების გამოყენებაზე და შედგება შეთავაზების ოქმი, სადაც განისაზღვრება, როგორც განრიდების პირობები ასევე მოსალოდნელი შედეგები, პროკურორს განრიდების პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ მანამდე სანამ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული განრიდების სუბიექტის მიერ განრიდების პირობა, ვინაიდან განრიდების პირობის შესრულებით განრიდება უკვე განხორციელებულია (რაც ასევე საქმეში წარმოდგენილ განრიდების შეთავაზების ოქმშიცაა დაფიქსირებული). მოცემულ შემთხვევაში კი განრიდების სუბიექტის მიერ განრიდების პირობა შესრულებულია, რის შემდეგაც პროკურორის მიერ უკვე განხორციელებულ განრიდებაზე უარის თქმას კანონი აღარ ითვალისწინებს.

შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ პროკურორის მიერ ამ შემთხვევაში ე. ნ.-ს მიმართ განრიდების წარმოების შეწყვეტის შესახებ 2017 წლის



28 მარტის დადგენილება და იმავე თარიღით შედგენილი ოქმი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ გამოცემულია (და ასეთ ვითარებაში იმავდროულად მოპოვებულია) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, იწვევს მათ დაუშვებლად ცნობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებულ ორივე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა და ზედამხედველობას ახორციელებდა ერთი და იგივე გამომძიებელი და პროკურორი და ბრალდების მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა პიროვნება შეეფასებინა და განრიდების გამოყენების დისკრეციული უფლებამოსილებით ესარგებლა განრიდების პროცესის მიმდინარეობისას - განრიდების განხორციელებამდე, ანუ განრიდების პირობის შესრულებამდე. ხოლო, **განრიდების პირობის შესრულებით უკვე განხორციელდა განრიდება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა უკვე მისი თანმდევი შედეგია და არა პროკურორის დისკრეცია. სხვა სამართლებრივ რეგულაციას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.**

საგამომიებო კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ე. ნ.-ს გამოკითხვის ოქმი არ ადასტურებს დანაშაულში მის მონაწილეობას, უფრო მეტიც იგი არ არის ბრალდებული და შესაბამისად, მხოლოდ გამოძიების აღრიცხვის ბარათი, ქმედების კვალიფიკაცია და მისი მოწმის სახით გამოკითხვის ოქმი ვერ დაახასიათებს ე. ნ.-ს პიროვნებას და ვერ დაადასტურებს მის არაკანონმორჩილ ხასიათს, რამეთუ ეს დაარღვევს და წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უდანაშაულობის პრეზუმფციასთან. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია ასევე იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ არ დასტურდება ხსენებული მტკიცებულებების კავშირი, შემხებლობა წარმოდგენილ სისხლის სამართლის საქმესთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად მიაჩნია, რომ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუამ, მოცემული სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე კანონის სრული დაცვით განიხილა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და კონკრეტულ შემთხვევაში მიიღო არსებითად სწორი, კანონიერი, დასაბუთებული და მართლზომიერი გადაწყვეტილება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის შეფასებით ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საჩივარში მითითებული გარემოებები იმ სტანდარტით, რომ იგი საკმარისი იყოს საჩივრის დაკმაყოფილებისათვის, რის გამოც წარმოდგენილი საჩივარი მიიჩნია უსაფუძვლოდ.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, 72-ე, 82-ე, 168¹-168²-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჯავარაშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



2. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუას 2017 წლის 26 აპრილის განჩინება ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელი;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილ პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე